საქართველო

სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის

ბრძანება

N 37 119

31/01/2019

ქალაქ სამტრედიაში, 9 აპრილის ქუჩა №9–ში მდებარე 2434 კვ.მ არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული შენობა–ნაგებობების, №1, საერთო ფართი: 1048.3 კვ.მ, და №2, საერთო ფართი: 214.8 კვ.მ, (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.56.472) პრივატიზების შესახებ განმეორებითი ელექტრონული აუქციონის გამოცხადების თაობაზე

ქალაქ სამტრედიაში, 9 აპრილის ქუჩა №9–ში მდებარე 2434 კვ.მ არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული შენობა–ნაგებობების, №1, საერთო ფართი: 1048.3 კვ.მ, და №2, საერთო ფართი: 214.8 კვ.მ, (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.56.472) პრივატიზების შესახებ გამოცხადებულ ელექტრონულ აუქციონებზე არ მოხდა აღნიშნული ქონების განკარგვა.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფსასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების“ მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, თუ არ მოხდება ელექტრონული აუქციონის ფორმით გატანილი მუნიციპალიტეტის ქონების განკარგვა, ეს ქონება შესაძლებელია, გატანილ იქნეს საპრივატიზებოდ ელექტრონულ აუქციონზე, შეცვლილი საწყისი საპრივატიზებო საფასურით ან/და პირობებით. ასეთ შემთხვევაში, აუქციონი ჩაითვლება განმეორებით ელექტრონულ აუქციონად. განმეორებით ელექტრონულ აუქციონზე, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს გადაწყვეტილებით, მუნიციპალიტეტის ქონების საწყისი საპრივატიზებო საფასური შეიძლება შემცირდეს 50%-მდე.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54–ე მუხლის პირველი ნაწილის ,,დ“–ქვეპუნქტის ,,დ.ა“–ქვეპუნქტის, ,,ე“–ქვეპუნქტის ,,ე.ე“–ქვეპუნქტის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტებად განსაზღვრისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 2 ნოემბრის №38 179 განკარგულებისა და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფსასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესები“-ს მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1.1. ქალაქ სამტრედიაში, 9 აპრილის ქუჩა №9–ში მდებარე 2434 კვ.მ არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული შენობა–ნაგებობების, №1, საერთო ფართი: 1048.3 კვ.მ, და №2, საერთო ფართი: 214.8 კვ.მ, (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.56.472) პრივატიზების შესახებ გამოცხადდეს განმეორებითი ელექტრონული აუქციონი.

1.2. განმეორებით ელექტრონულ აუქციონზე ქალაქ სამტრედიაში, 9 აპრილის ქუჩა №9–ში მდებარე 2434 კვ.მ არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული შენობა–ნაგებობების, №1, საერთო ფართი: 1048.3 კვ.მ, და №2, საერთო ფართი: 214.8 კვ.მ, (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.56.472) საწყის საპრივატიზებო საფასურად განისაზღვროს 135000 (ასოცდათხუთმეტი ათასი) ლარი.

1.3. განმეორებით ელექტრონულ აუქციონზე ქალაქ სამტრედიაში, 9 აპრილის ქუჩა №9–ში მდებარე 2434 კვ.მ არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული შენობა–ნაგებობების, №1, საერთო ფართი: 1048.3 კვ.მ, და №2, საერთო ფართი: 214.8 კვ.მ, (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.56.472) ბიჯი განისაზღვროს მისი საწყისი საპრივატიზებო საფასურის 10%–ის ოდენობით.

1.4. განმეორებით ელექტრონულ აუქციონზე ქალაქ სამტრედიაში, 9 აპრილის ქუჩა №9–ში მდებარე 2434 კვ.მ არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული შენობა–ნაგებობების, №1, საერთო ფართი: 1048.3 კვ.მ, და №2, საერთო ფართი: 214.8 კვ.მ, (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.56.472) საგარანტიო თანხა განისაზღვროს მისი საწყისი საპრივატიზებო საფასურის 10%–ის ოდენობით.

1.5. ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულმა პირმა ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში უნდა გადაიხადოს მუნიციპალიტეტის შემენილი ქონების სრული ღირებულება.

2. თუ განმეორებითი ელექტრონული აუქციონი არ შედგა იმ მიზეზით, რომ ელექტრონულ აუქციონში რეგისტრირებული პირები, რომლებმაც გადაიხადეს ბე ან წარადგინეს/გააქტიურეს (ელექტრონულად) უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია, არ მიიღებენ მონაწილეობას ვაჭრობაში, განმეორებითი ელექტრონული აუქციონის მონაწილეების მიერ გადახდილი ბე ან წარდგენილი/გააქტიურებული (ელექტრონულად) უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია სრულად ირიცხება სამტრედიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში.

3. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

ვალერიანე ფოცხვერია

მუნიციპალიტეტის მერი